

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადიციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 40

ქადაგისი

2019 წლის 30 იანვარი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 30 იანვარს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლაშა მაჭავარიანი, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭეულიძე, ლაშა თავართქილაძე, სულხან სულხანიშვილი.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის ვიდეომასალა, „სპორტული კლუბი არმია“-ს პრეზიდენტის ირაკლი სულთანიშვილის 2019 წლის 29 იანვრით დათარიღებული წერილი № 4 და მატჩის მეთვალყურის გ. მიქაბერიძის ოქმი. ასევე გამოკითხა მატჩის მსაჯები ო. მოგელაშვილი, თ. გვირჯიშვილი, ს. აბულაშვილი, შ. ცაგარეიშვილი. მატჩის მეთვალყურე გ. მიქაბერიძე და ვიდეოანალიტიკოსი დ. რამიშვილი, ამა წლის 25 იანვარს, დიდი 10-ს მატჩზე, თბ „არმია“-სა და თბ „ლოკომოტივი“-ს შორის, მომხდარი ფაქტების შესახებ.

გამოარკვია:

1. თბ „არმია“-ს მორაგბე შალვა ზვიადაური - მეტოქის სიტყვიერი შეურაცხყოფა.
2. თბ „არმია“-ს წარმომადგენელი ჯაბა კიზირია - მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა.
3. საკითხის შესწავლის პროცესში, კლუბ არმიის მიერ მოწოდებული წერილის შინაარსიდან იკვეთება გამგეობის 2016 წლის 5 მაისის №6 სხდომის ოქმით დადგენილი მე-3 პუნქტის (2018 წლის 23 ოქტომბერის გამგეობის გადაწყვეტილების 1 პუნქტის ცვლილების გათვალისწინებით) შესაძლო დარღვევა, კერძოდ: ჯ. კიზირია დასაქმებულია კლუბ არმიაში, ასაკობრივი მწვრთნელის პოზიციაზე.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.4. 2.2.6 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. თბ „არმია“-ს მორაგბე შ. ზვიადაური დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300 (სამასი) ლარით.
2. თბ „არმია“-ს წარმომადგენელი ჯ. კიზირია დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით და დისკვალიფიკაცია გაუგრძელდეს 2022 წლის აპრილის თვემდე, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000 (ორი ათასი) ლარით.
3. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 2 მარტამდე.
4. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „არმია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.
5. სხდომის თავმჯდომარეს მ. თავზარაშვილს დაევალოს, შემდგომი რეაგირების მიზნით აცნობოს გამგეობას, კლუბ თბ „არმია“-ს მიერ სრკ-ს გამგეობის 2016 წლის 5 მაისის № 6 სხდომის ოქმით დადგენილი მე-3 პუნქტის (2018 წლის 23 ოქტომბერის გამგეობის გადაწყვეტილების 1 პუნქტის ცვლილების გათვალისწინებით) შესაძლო დარღვევის შესახებ.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/